USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №52
იანვარი, 2024

თბილისი, 2024

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ნიკა ოდიკაძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი (2022-2025) წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №52 ბიულეტენს. მასში აღწერილია 2024 წლის იანვარში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. „ქართულ ოცნებაში" საპატიო თავმჯდომარის თანამდებობის შექმნა

8 იანვარს გამოქვეყნდა პარტია „ქართული ოცნების" განახლებული წესდება, რომელიც პარტიის ყრილობამ 30 დეკემბერს დაამტკიცა.[1] სწორედ 30 დეკემბერს მმართველი პარტიის ყრილობაზე გააკეთა პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ განცხადება პარტია „ქართული ოცნების" დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა.[2] მან პარტიის საპატიო თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავა.[3] განახლებული წესდების მიხედვით, ივანიშვილს გარკვეული ფორმალური უფლებამოსილებები მიენიჭა. დოკუმენტის თანახმად, საპატიო თავმჯდომარე პარტიის მთავარი პოლიტიკური მრჩეველია.[4] მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ქვეყნის პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარდგენაა, რომელიც შემდგომ პოლიტიკურმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს.[5] საპატიო თავმჯდომარე ასევე უფლებამოსილია, მოიწვიოს პარტიის რიგგარეშე ყრილობა.[6] ამ თანამდებობაზე პარტიის ყრილობამ შეიძლება აირჩიოს პირი, რომელსაც „განსაკუთრებული დამსახურება" მიუძღვის ქვეყნისა და პარტიის წინაშე.[7]

2. პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა

29 იანვარს მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თანამდებობის დატოვების შესახებ განაცხადა.[8] ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა შიდაპარტიული დემოკრატიის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა სხვებსაც უნდა მიეცეთ.[9] ღარიბაშვილის

---

[1] „ქართული ოცნების" განახლებული წესდება „საპატიო თავმჯდომარეს" ძალაუფლებას ფორმალურად ანიჭებს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2024 წლის 10 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/576705, განახლებულია: 20.02.2024.

[2] „ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლების „ადამიანური ცდუნებებისგან დაცვის" მიზნით პოლიტიკაში ბრუნდება", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 30 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/576223, განახლებულია: 05.02.2024.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] იქვე.

[7] „ქართული ოცნების" განახლებული წესდება „საპატიო თავმჯდომარეს" ძალაუფლებას ფორმალურად ანიჭებს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2024 წლის 10 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/576705, განახლებულია: 20.02.2024.

[8] „პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თანამდებობა დატოვა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2024 წლის 29 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/579683, განახლებულია: 20.02.2024.

[9] იქვე.

თქმით, მას პარტიის თავმჯდომარის პოზიციის დაკავება შესთავაზეს.[10]

იმავე დღეს მედიით „ქართული ოცნების“ მოქმედ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძესა და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შორის თანამდებობების გაცვლა დაანონსდა.[11]

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, მამუკა მდინარაძის თქმით, პარტიის პოლიტსაბჭომ ღარიბაშვილს საარჩევნო მარათონის აქტიურ ფაზაში გადასვლამდე თანამდებობაზე დარჩენა შესთავაზა, თუმცა მან თავად მიიღო წასვლის გადაწყვეტილება, რათა ახალი პრემიერ-მინისტრისთვის არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში ახალი გუნდის და მიდგომების ჩამოყალიბების საშუალება მიეცა.[12]

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერის, პაატა მანჯგალაძის თქმით, ეს ცვლილება, შესაძლოა, უარესი იყოს ქვეყნისთვის, რადგან ირაკლი კობახიძეს არანაირი შეხება არ აქვს ეკონომიკასთან, სამუშაო ადგილებსა და დასაქმებასთან.[13]

პარტია „ლელოს“ ლიდერის, მამუკა ხაზარაძის შეფასებით, ცვლილებების მიუხედავად, ბიძინა ივანიშვილი ვერ შეძლებს „ოცნების რუსული ხელისუფლების ჩაძირული გემის“ გადარჩენას.[14] თავად ღარიბაშვილი კი, კორუფციული გარიგებების გამო, ბრალდებულის სკამზე უნდა იჯდეს და არა - პარტიის თავმჯდომარის.[15]

3. სამოქალაქო ორგანიზაციები ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად სამთავრობო გეგმის დამტკიცებას გამოეხმაურნენ

9 იანვარს ათი არასამთავრობო ორგანიზაცია,[16] მათ შორის საიაც, ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად მთავრობის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმას საერთო განცხადებით გამოეხმაურა.[17] საუბარია საქართველოს მთავრობის მიერ 2023 წლის 25 დეკემბერს გამოქვეყნებულ დოკუმენტზე,[18] რომელიც ევროკომისიის მიერ განსაზღვრულ ნაბიჯებს, განსახორციელებელ აქტივობებს, შესაბამის ვადებსა და პასუხისმგებელი უწყებების ჩამონათვალს მოიცავს.[19] არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, დოკუმენტის დამტკიცება „მნიშვნელოვანი ნაბიჯია“,

---

[10] იქვე.

[11] „ტელეკომპანია „იმედი“: ირაკლი კობახიძე და ირაკლი ღარიბაშვილი თანამდებობებს გაცვლიან“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 29 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/579555, განახლებულია: 20.02.2024.

[12] „ღარიბაშვილის გადადგომას პოლიტიკოსების გამოხმაურებები მოყვა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 30 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/579806, განახლებულია: 20.02.2024.

[13] იქვე.

[14] იქვე.

[15] იქვე.

[16] „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი“, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, „საფარი“, „საქართველოს სასამართლოს გუშაგი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)“, „მმართველობის მონიტორინგის ცენტრი (GMC)“, „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)“.

[17] „სამოქალაქო ორგანიზაციები ეხმაურებიან ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად სამთავრობო გეგმის დამტკიცებას“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2024 წლის 9 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/ge/post/samoqalaqo-organizaciebi-ekhmaurebian-evrokomisiis-rekomendaciebis-shesasruleblad-samtavrobo-gegmis-damtkicebas#sthash.i5VlBrEb.dpbs, განახლებულია: 20.02.2024.

[18] „ევროკომისიის 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომუნიკაციაში საქართველოსთვის განსაზღვრული ნაბიჯების განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა.“

[19] „ევროკომისიის 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომუნიკაციაში საქართველოსთვის განსაზღვრული ნაბიჯების განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა“, საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 25 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=86884, განახლებულია: 20.02.2024.

თუმცა პროცესი მათი მონაწილეობის გარეშე წარმიმართა, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ევროკომისიის ერთ-ერთი პრიორიტეტია.[20]

ევროკავშირის ელჩ პაველ ჰერჩინსკის თქმით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ცხრა ნაბიჯის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ, ევროკავშირი ყურადღებით დააკვირდება როგორც არჩევნების დღეს, ასევე მთელ საარჩევნო კამპანიას.[21] მან ასევე აღნიშნა საქართველოს მთავრობის თხოვნა ეუთო/ოდირის მიმართ გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის გამოგზავნის თაობაზე, რასაც, ელჩის თქმით, ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც უჭერენ მხარს.[22] მისი თქმით, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ამჟამად მსჯელობენ, მიიღებს თუ არა და რა ფორმით მიიღებს ევროკავშირი მონაწილეობას არჩევნებზე დაკვირვებაში. ელჩი იმედოვნებს, რომ ყველა პოლიტიკურ პარტიას მიეცემა საკმარისი სივრცე საკუთარი პროგრამების წარმოსადგენად და წინასაარჩევნო კამპანია არაძალადობრივ გარემოში წარიმართება.[23]

ჰერჩინსკის თქმით, ვინაიდან ცხრა ნაბიჯის შეთანხმებიდან „მხოლოდ რამდენიმე კვირა“ გავიდა, „პროგრესზე საუბარი ძალიან ადრეა“,[24] თუმცა იმედი გამოთქვა, რომ ის სწრაფად იქნება მიღწეული. ჰერჩინსკის შეფასებით, კანდიდატის სტატუსის მინიჭება არ არის დასასრული, ეს მხოლოდ დასაწყისია იმ მძიმე შრომისა, რომელიც საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანებისთვის უნდა გასწიოს. მისი თქმით, რეფორმები არ დასახულა ბრიუსელის ან ვინმეს მოსაწონად, არამედ იმისთვის განისაზღვრა, რომ საქართველო გახდეს უფრო ძლიერი, სტაბილური და დემოკრატიული ქვეყანა.[25] პაველ ჰერჩინსკიმ იმედი გამოთქვა, რომ ქვეყანა გაწევრიანების მოლაპარაკებების ეტაპზე გადავა, რაც ცხრა ნაბიჯზე მიღწეულ პროგრესს დაეფუძნება.[26]

4. პარლამენტში ევროკავშირის რეკომენდაციებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა

29 იანვარს ევროკავშირის ცხრა რეკომენდაციის შესრულებაზე მთავრობის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით პარლამენტში მმართველი პარტიის, ოპოზიციისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრა გაიმართა.[27]

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის განცხადებით, შეხვედრის დღის წესრიგი ყველა იმ საკითხის განხილვას ითვალისწინებდა, რომლებიც ცხრა ნაბიჯიდან გამომდინარეობს და, იმავდროულად, პარლამენტის კომპეტენციაშია.[28]

ოპოზიციურმა პარტია „ლელომ“ შეხვედრას ბოიკოტი გამოუცხადა.[29] მისმა წარმომადგენელმა ანა ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ პარტია თავის სამოქმედო გეგმას მომდევნო დღეს წარადგენდა.[30] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა დავით კირკიტაძემ შეხვედრის დაწყებამდე ასევე აღნიშნა, რომ მისი პარტიაც აპირებდა საკუთარი სამოქმედო გეგმის წარდგენას და ამის თაობაზე

[20] იქვე.
[21] იქვე.
[22] იქვე.
[23] იქვე.
[24] იქვე.
[25] იქვე.
[26] იქვე.
[27] „პარლამენტში ევროკავშირის რეკომენდაციებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2024 წლის 29 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/579659, განახლებულია: 20.02.2024.
[28] იქვე.
[29] იქვე.
[30] იქვე.

პარტიას უკვე ჰქონდა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.[31] დეპუტატის აზრით, შეხვედრაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან არ უნდა გაჩნდეს განცდა, თითქოს პროცესი ოპოზიციის გამო ფერხდება.[32]

პარტია „საქართველოსთვის“ წევრ მიხეილ დაუშვილის შეფასებით, შეხვედრაზე მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, „ქართული ოცნება“ არ აპირებს შინაარსობრივი და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორებიცაა საარჩევნო, მართლმსაჯულების და ანტიკორუფციული რეფორმები.[33]

„ევრო-ოპტიმისტების“ წევრმა რომან გოცირიძემ მიმდინარე პროცესი შეაფასა და განაცხადა, რომ არსებობს საკითხები/რეკომენდაციები, რომლებსაც მმართველი პარტია არასდროს შეასრულებს. საუბარია, მაგალითად, ძალაუფლებასთან დაკავშირებული ბერკეტების შემცირებაზე. გოცირიძის შეფასებით, არის საკითხები, რომლებსაც ნაწილობრივ შეასრულებენ, ზოგიერთი კი შესრულდება, ვინაიდან „თავად ევროკავშირმა დაბალი სტანდარტები დააწესა“. მთლიანობაში, დეპუტატის პოზიციით, არსებითი და მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომლებიც საარჩევნო და მართლმსაჯულების რეფორმებს ეხება, არ შესრულდება.

შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად არ მიიწვიეს რამდენიმე გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ შორის, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.[34] პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის თქმით, არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო ორგანიზაციების პლატფორმის ფარგლებში მიმდინარეობს, რომელიც ამ ორგანიზაციებმა დატოვეს.[35] პარლამენტის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ამ ორგანიზაციებმა მას წერილით მიმართეს და შეხვედრაში ინდივიდუალურად მონაწილეობა ითხოვეს, რაზეც უარი მიიღეს და განუცხადეს, რომ მხოლოდ პლატფორმის მეშვეობით შეძლებდნენ მონაწილეობას.[36]

საქართველოში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის გაძლიერებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა[37] ამ საკითხთან დაკავშირებით 30 იანვარს განცხადება გამოაქვეყნეს.[38] დოკუმენტის მიხედვით, იმის მიუხედავად, რომ ხელმომწერი ორგანიზაციები არ არიან პლატფორმის წევრები, ისინი, წლებია, მუშაობენ ევროკავშირის 9 დათქმით გათვალისწინებულ საკითხებზე, შესაბამისად, მათი ჩართულობა პროცესის სიჯანსაღისთვის მნიშვნელოვანია.[39]

საიას შეფასებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება ეწინააღმდეგება ევროკომისიის რეკომენდაციას, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობას ეხება. რომელიმე პლატფორმის წევრობა ორგანიზაციისთვის არ შეიძლება იყოს ამა თუ იმ სამუშაო პროცესში ჩართვის სავალდებულო პირობა. საქართველოში არის არაერთი კოალიცია, პლატფორმა, გაერთიანება და ორგანიზაცია თავად წყვეტს, რომელი გაერთიანების წევრობა სურს. მათ შორის, არსებობს არაერთი კვალიფიციური, გამოცდილი ორგანიზაცია, რომელიც არ არის ამ პლატფორმის წევრი. ორგანიზაციის შეფასებით, პარ-

---

[31] იქვე.
[32] იქვე.
[33] იქვე.
[34] იქვე.
[35] იქვე.
[36] იქვე.
[37] განცხადებას ხელს აწერენ: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), საფარი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ევროპულ-ქართული ინსტიტუტი (EGI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ღია სივრცე კავკასია, უფლებები საქართველო, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ადამიანის უფლებათა ცენტრი.
[38] „არასამთავრობოები ევროკავშირის ცხრა დათქმის შესასრულებლად თანამშრომლობის ფორმატის გაფართოებისკენ მოუწოდებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2024 წლის 30 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/579872, განახლებულია: 20.02.2024.
[39] იქვე.

ლამენტი ვალდებულია, უზრუნველყოს რეალური სამუშაო პროცესი და გააფართოოს სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის ფორმატი, რათა ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას მიეცეს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში ჩართვის შესაძლებლობა. საიამ ყველა შესაძლებლობა გამოიყენა სამუშაო ფორმატებში მონაწილეობისთვის და ორგანიზაცია მომავალშიც ეცდება, გამონახოს სხვა გზა თავისი რეკომენდაციების წარსადგენად და საზოგადოებისთვის მისაწოდებლად.

5. პარტია „საქართველოსთვის" 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დამოუკიდებლად მონაწილეობას გეგმავს

პარტია „საქართველოსთვის" ლიდერის, გიორგი გახარიას განცხადებით, პარტია წინასაარჩევნოდ არავისთან გაერთიანებას არ გეგმავს.[40] გახარიას შეფასებით, ამგვარი ჭორებით ოპონენტები ცდილობენ, პარტია ამა თუ იმ ფლანგს „მიაწებონ", რეალურად კი, არანაირი გაერთიანებები არ იქნება.[41]

[40] „გახარია: ამ არჩევნებზე ჩვენ წავალთ მარტო და გავიმარჯვებთ მარტო", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2024 წლის 22 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32787204.html, განახლებულია: 20.02.2024.

[41] იქვე.